# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №117

17 მარტი 2015 წელი

ქალაქი ქუთაისი

ერთის მხრივ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია, (შემდგომში „შემსყიდველი“) ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის ნოდარ მიქიაშვილის სახით. (მისამართი: **4600,** ქ.ქუთაისი, შ. რუსთაველის გამზ. №3, ტელ: 24-10-24)

მეორეს მხრივ, შ.პ.ს. „გი-ან 2011“, (შემდგომში „მიმწოდებელი“) მისი დირექტორის გია კოპალეიშვილის სახით, (მისამართი: ქ. ქუთაისი, ლესელიძის ქ. 1ჩ. №15, ტელ: **579 20 20 20)** „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონმდებლობისა და „მიმწოდებლი“-ს სატენდერო წინადადების საფუძველზე, **№SPA150003358** ერთეტაპიანი ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 “ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ” (შემდგომ _ “ხელშეკრულება”) _ შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 “ხელშეკრულების ღირებულება” ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციას (დაწესებულებას), ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 “შემსყიდველი ორგანიზაცია” (შემდგომ “შემსყიდველი”) ნიშნავს რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 “მიმწოდებელი” ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და ახორციელებს სამუშაოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 “დღე”, “კვირა”, “თვე” ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს;

1.6 ,,სამუშაო" – ხელშეკრულების მე–2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;

1.7 ,,ტექნიკური დოკუმენტაცია" – მიმწოდებლის მიერ **№SPA150003358** ერთეტაპიან ელქტრონულ ტენდერში სატენდერო წინადადებით წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია, რომელიც ერთვის ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

## 2.ხელშეკრულების ობიექტი და კლასიფიკატორის კოდი

2.1 ქალაქ ქუთაისში სოლომონ მეორის ქუჩის მე-4 შესახვევის, დ. თავდადებულის ქუჩის, წმინდა სამების ქუჩის მე-2 შესახვევის და ე. ახვლედიანის ქუჩის სანიაღვრე ქსელის და გზის ბეტონის საფარით მოწყობის სამუშაოები.

2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების აღწერა მოცემულია ტექნიკურ დავალებაში.

2.3 კლასიფიკატორის კოდი – 45233110.

## 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს: 514990 (ხუთას თოთხმეტი ათას ცხრაას ოთხმოცდაათი) ლარს.

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

## 4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1. ,,შემსყიდველი" უფლებამოსილია სამუშაოების შესრულების პარალელურად მოახდინოს სამუშაოების შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

4.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ ,,შემსყიდველი" დაუყონებლივ წერილობით აცნობებს ,,მიმწოდებელს" დაწუნებული სამუშაოების ნაწილს წუნდების

მიზეზების მითითებით.

4.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება ,,მიმწოდებელს", საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4.4 ,,მიმწოდებელი" ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ,,შემსყიდველი", კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებითა და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ ,,შემსყიდველი" კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით ,,შემსყიდველი."

4.5 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება) განხორციელდება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის მიერ.

4.6 ინსპექტირების ჯგუფი ამოწმებს სამუშაოს შესრულების მოცულობას, ხარისხს და ვადებს.

## 5. სამუშაოს შესრულების ვადა

5.1 „მიმწოდებელი" ვალდებულია სამუშაოების შესრულება განახორციელოს ხელშეკრულების დადებიდან 100 (ასი) კალენდარული დღის განმავლობაში, 2015 წლის 24 ივნისის ჩათვლით.

## 6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 „შემსყიდველი" შესყიდვის ობიექტის მიღებას მოახდენს ეტაპობრივად, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების შესაბამისად.

6.2 „მიმწოდებელმა" უნდა წარმოადგინოს ხარისხის საკონტროლოდ, გამოყენებული ბეტონის ნარევის ლაბორატორიული დასკვნა.

6.3 „მიმწოდებელი" ვალდებულია ჩაატაროს ექსპერტიზა შესრულებული სამუშაოების ხარისხზე, მოცულობასა და ფასებზე - სამუშაოს საბოლოო მიღება-ჩაბარების დროს.

6.4 სამუშაოს დასრულების ვადად ითვლება „შემსყიდველი" ორგანიზაციის მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფის მიერ სამუშაოს დასრულების დადასტურების დღე.

6.5 ფაქტიური შესრულების დამტკიცებას ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის დადასტურების საფუძველზე ახორციელებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე.

## 7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, „მიმწოდებლის" წერილობითი მომართვის საფუძველზე;

7.2 „მიმწოდებლის" წერილობით მომართვას ანგარიშსწორების თაობაზე უნდა დაერთოს:

ა) ინსპექტირების ჯგუფის დასკვნა,

ბ) ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მოცულობა და ღირებულება,

გ) ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს შესაბამისად მიღება-ჩაბარების აქტი,

დ) გამოყენებული ბეტონის ნარევის ლაბორატორიული დასვნა,

ე) ექსპერტიზის დასკვნა - სამუშაოს საბოლოო მიღება-ჩაბარების დროს,

ვ) შესრულებული სამუშაოს შესაბამისად ამოწერილი დ.ღ.გ.-ს ანგარიშფაქტურა.

7.3 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო (ლარებში).

7.4 ანგარიშსწორება მოხდება ეტაპობრივად, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების შესაბამისად, სათანადო დოკუმენტების წარმოდგენიდან 20 (ოცი) სამუშაო დღეში.

7.5 „მიმწოდებლი"-ს მოთხოვნით, მხარეთა შორის 20%-ის ფარგლებში წინასწარ ანგარიშსწორებაზე მიღწეული შეთანხმების შემთხვევაში, „მიმწოდებლი"-ს მიერ უნდა იყოს წარმოდგენილი მხოლოდ საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული გარანტია, საავანსო გადახდის თანხაზე, რომლის მოქმედების ვადა 1 (ერთი) თვით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების დასრულების ვადას.

7.6 სამუშაოს ხარისხის დაცვის მიზნით, „შემსყიდველი"-ს მიერ ყოველ შესრულებულ სამუშაოზე დაკავებული იქნება შესრულებული სამუშაოების ღირებულების 5%, რომლის ნახევრის (2.5%-ის) დაბრუნება მოხდება სამუშაოების სრულად დასრულებისა და „შემსყიდველი"-ს მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფის მიერ შედგენილი ობიექტის ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, ხოლო მეორე ნახევარი (აღნიშნული თანხის დაკავების ფორმას განსაზღვრავს „შემსყიდველი") სამუშაოების საგარანტიო

ვადის (ორი წელი) გასვლის შემდეგ. იმ შემთხვევაში, თუ „შემსყიდველი"-ს მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფის ან სპეციალური კომისიის მიერ აქტის შედგენისას დაფიქსირებული იქნება შესრულებული სამუშაოს ნაკლი ან უხარისხობა, „მიმწოდებელს" აღნიშნული თანხა არ აუნაზღაურდება დეფექტების გამოსწორებამდე.

## 8. გარანტია

8.1 შესრულებული სამუშაოს სრულფასოვანი ფუნქციონირების საგარანტიო ვადათ განისაზღვრება **2 (ორი)** წელი, რომლის განმავლობაშიც „მიმწოდებელი" ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლოატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა. აღნიშნული არ გულისხმობს საანგარიშო პერიოდში დაზიანების აღდგენას, თუ დაზიანება გამოწვეული იქნება დაუძლეველი ძალის ზეგავლენით ან გარეშე ძალის ზემოქმედებით.

## 9.ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა

9.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები ,,შემსყიდველი" ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

9.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

9.5 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 10. სუბკონტრაქტორები

10.1 ,,მიმწოდებელმა" წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის შესახებ.

10.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში ყველა სუბკონტრაქტთან დადებული ხელშეკრულების ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

10.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არცერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს ,,მიმწოდებელს" ხელშეკრულებით გათვალისწინებული მატერიალური ან სხვა ვალდებულებებისგან.

## 11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელისშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

11.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს დანართი–შეთანხმების სახით, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

## 12. მხარეთა უფლება–მოვალეობები

12.1 ,,შემსყიდველი" უფლებამოსილია:

– სამუშაოს დასრულებამდე ნებისმიერ დროს მოითხოვოს ,,მიმწოდებლისგან" მისთვის საჭირო ინფორმაცია.

12.2 ,,შემსყიდველი" ვალდებულია:

– უზრუნველყოს ,,მიმწოდებლი"–ს მიერ შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება ხელშეკრულებით

გათვალისწინებული ვადების და პირობების დაცვით.
12.3 ,,მიმწოდებელი" უფლებამოსილია:
– მოსთხოვოს ,,შემსყიდველს" შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
12.4 ,,მიმწოდებელი" ვალდებულია:
– დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

## 13. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

13.1 ხელშეკრულების უზრუნველყოფის მიზნით გამოიყენება ხელშეკრულების შესრულების გარანტია, რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი და ძალაშია 2015 წლის 29 აგვისტოს ჩათვლით.
13.2 ხელშეკრულების შესრულების მიზნით „შემსრულებლის" მიერ წარმოდგენილია ს.ს. „საქართველოს ბანკი"-ს მიერ 2015 წლის 12 მარტს გაცემული №PE35295-15 საბანკო გარანტია ხელშეკრულების ღირებულების 8%-ის ოდენობით – 41200 (ორმოცდაერთი ათას ორასი) ლარზე, რომელიც გამოიყენება ნებისმიერი ზარალის ანაზღაურების მიზნით, რაც მიადგება ,,შემსყიდველს" „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არასრული შესრულების გამო.
13.3 იმ შემთხვევაში, თუ „მიმწოდებელი" უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებას ან ხელშეკრულების მოქმედება შეწყდება ,,მიმწოდებლისაგან" დამოუკიდებელი მიზეზებით, ,,შემსყიდველი" ორგანიზაცია ვალდებულია უზრუნველყოს გარანტიის დაუყონებლივ დაბრუნება.

## 14. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

14.1 დაუძლეველი ძალის გარდა „მიმწოდებელი"–ს მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები:
– ხელშეკრულების თვითნებურად შეწყვეტის შემთხვევაში „მიმწოდებელი" გადაიხდის 155000 (ასოორმოცდათხუთმეტი ათასი) ლარს.
14.2 თუ „მიმწოდებელი" გადააცილებს მის მიერ წარმოდგენილი სამუშაოების კალენდარული გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებულ შესაბამისი ეტაპის დასრულების ვადას, „მიმწოდებელს" დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.1%–ის ოდენობით.
14.3 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების 14.2 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს ოდენობა მიაღწევს მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 3%–ს, ,,შემსყიდველს" უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.
14.4 ამ ხელშეკრულების 14.3 და 15.1 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შემთხვევაში, მხარეს რომელმაც არ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დაეკისრება პირგასამტეხლო 257 000 (ორას ორმოცდაჩვიდმეტი ათასი) ლარის ოდენობით მეორე მხარის სასარგებლოდ.
14.5 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის, მიმწოდებლის დაჯარიმების შემთხვევაში, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ასანაზღაურებელი თანხიდან, საჯარიმო სანქციების თანხა პირდაპირ გადარიცხოს არასაგადასახადო ანგარიშსწორების ერთიან ანგარიშზე სახელმწიფო ხაზინაში.
14.6 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს" ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
14.7 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს დასრულების ვადაში განხორციელებისას, ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემთხვევაში, „მიმწოდებელი" თავისუფლდება ხელშეკრულების 14.2 პუნქტით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციებიდან.

## 15. ხელშეკრულების შეწყვეტა

15.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

15.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე დაუყონებლივ;

15.3 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს ,,მიმწოდებელს" ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

## 16. დაუძლეველი ძალა

16.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეულ პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შეუძლებლობის შესახებ.

16.2 თუ ერთ–ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

16.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

## 17. სადავო საკითხების გადაწყვეტა

17.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 18. გადასახადები და დაზღვევა

18.1 ,,მიმწოდებელი" პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

## 19. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

19.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2015 წლის 24 ივლისის ჩათვლით.

19.2 ხელშეკრულება შედგენილია სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. 1 (ერთი) პირი ,,მიმწოდებელთან" და 2 (ორი) პირი ,,შემსყიდველთან".

## 20. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

**შემსყიდველი:**
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია
მის: ქ. ქუთაისი, რუსთაველის გამზ. №3
მიმღები: ხაზინის ერთიანი ანგარიში
ქ.თბილისი ,,სახელმწიფო ხაზინა"
ბ/კოდი: TRESEGE22
ს/კოდი: 212721170
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
მერის პირველი მოადგილე

ნოდარ მიქიაშვილი

**მიმწოდებელი:**
შ.პ.ს. „გიან 2011"
მის: ქ. ქუთაისი, ლესელიძის ქ. 1ბ. №15
ს.ს. „საქართველოს ბანკი"
ბ/კოდი: BAGAGE22
ა/ა GE44BG0000000089316690
ს/კოდი: 412676322
შ.პ.ს. „გი-ან 2011"-ს
დირექტორი

გია კოპალეიშვილი

კრებსითი

| № | ობიექტის დასახელება | ღირებულება (ლარი) |
|---|---|---|
| 1 | სოლომონ მეორის ქუჩის მე-4 შესახვევის სანიაღვრე ქსელის და გზის ბეტონის საფარით მოწყობა | 242 172.89 |
| 2 | დ. თავდადებულის ქუჩის სანიაღვრე ქსელის და გზის ბეტონის საფარით მოწყობა | 175 886.98 |
| 3 | წმინდა სამების ქუჩის მე-2 შესახვევის სანიაღვრე ქსელის და გზის ბეტონის საფარით მოწყობა | 67 381.70 |
| 4 | ე. ახვლედიანის ქუჩის სანიაღვრე ქსელის და გზის ბეტონის საფარით მოწყობა | 29 548.43 |
| | ჯამი | 514 990.00 |

შ.პ.ს."გი-ან2011" დირექტორი: გ.კოპალეიშვილი

## სოლომონ მეორეს ქუჩის მე-4 შესახვევის გზის ბეტონის საფარით და ღვარსადენი ქსელის მოწყობის ხარჯთაღრიცხვა

| № | სამუშაოს ჩამონათვალი | განზ. ერთ. | რაოდ | მასალა | | ტრანსპორტი მექანიზმები | | ხელფასი | | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | ერთეულის ფასი | ჯამი | ერთეულის ფასი | ჯამი | ერთეულის ფასი | ჯამი | |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 9 | 10 | 7 | 8 | 11 |
| | სავალი ნაწილი | | | | | | | | | |
| 1 | სავალ ნაწილზე არსებული ტალახნარევი ხრეშოვანი მასის, დაზიანებული ა/ბეტონისა და გრუნტის მოხსნა მექანიზმების გამოყენებით $ჩ_{სამ}$=35სმ დატვირთვით 90% | $მ^3$ | 1516.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 1.00 | 1516.00 | 1516.00 |
| 2 | მექანიზმისთვის მიუწვდომელ ადგილებში ხელით დამუშავება და დატვირთვა 10% | $მ^3$ | 168.00 | 0.00 | 0.00 | 3.00 | 504.00 | 0.00 | 0.00 | 504.00 |
| 3 | მოჭრილი მასის გატანა ნაყარში ა/თვითმცლელებით საშუალოდ 10 კმ მანძილზე 4811*1.8 | ტ | 8660.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.50 | 4330.00 | 4330.00 |
| 4 | მიწის ვაკისის მოშანდაკება გრეიდერით | $მ^2$ | 4811.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.15 | 721.65 | 721.65 |
| 5 | საფუძვლის ქვედა ფენის მოწყობა ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით საშ. სისქით 10სმ კ-1.22 | $მ^3$ | 586.90 | 3.47 | 2036.54 | 1.00 | 586.90 | 2.50 | 1467.25 | 4090.69 |
| 6 | საფუძვლის ზედა ფენის მოწყობა ფრაქციული ღორღით 0-40მმ საშ. სისქით 10სმ კ-1.26 | $მ^3$ | 606.20 | 4.00 | 2424.80 | 0.30 | 181.86 | 3.00 | 1818.60 | 4425.26 |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | ბეტონის საფარის მოწყობა სისქით 16სმ არმირებით, ტემპერატურული ნაკერების მოწყობით ყოველ 6მ-ში და ნაკერების შევსება ბიტუმით | $м^2$ | 4811 | 0.00 | 0.00 | 5.15 | 24776.65 | 0.00 | 0.00 | 24776.65 |
| 9 | ბეტონი მ–300 4811*0.16*1.02 | $м^3$ | 785.15 | 129.3 | 101519.895 | 0.00 | 0.00 | 4.50 | 3533.18 | 105053.07 |
| 10 | არმატურა დ-8 ა-III (უჯრა 20X20სმ) | ტ | 20.639 | 1440 | 29720.16 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 29720.16 |
| 11 | ბიტუმი 325*0.5 | ტ | 2.4 | 1030 | 2472.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 2472.00 |
| | ღვარსადენი | | | | | | | | | |
| 1 | მიწის მოჭრა ხელით არხის გასაფართოებლად და დატვირთვა ა/თვითმცლელზე 0.6*0.5*88 | კუბ.მ | 26.4 | 0.00 | 0.00 | 1.00 | 26.40 | 0.00 | 0.00 | 26.40 |
| 2 | მოჭრილი მიწის გაზიდვა 10კმ მანძილზე ნაყარში | ტ | 47.5 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 3.00 | 142.50 | 142.50 |
| 3 | ასაკრები ღარების ქვეშ ქვიშის საფენის მოწყობა სისქით 10სმ 0.6*0.1*88 | კუბ.მ | 5.28 | 8.00 | 42.24 | 1.00 | 5.28 | 3.00 | 15.84 | 63.36 |
| 4 | ასკრები ღარების მოწყობა კვეთით 0.3*0.3 | გრძ. მ | 88 | 16.00 | 1408.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 1408.00 |
| 5 | ქვიშა-ხრეშოვანი ნარევის ღარის კედლებს უკან მიყრა | კუბ.მ | 4 | 8.00 | 32.00 | 2.00 | 8.00 | 3.00 | 12.00 | 52.00 |
| 6 | მიწის გაჭრა განივი მიმღებისათვის ხელით და დატვირთვა ავტომანქანაზე 5*0.5*1.0 | კუბ.მ | 2.5 | 0.00 | 0.00 | 15.00 | 37.50 | 0.00 | 0.00 | 37.50 |
| 7 | მოჭრილი მიწის თ/მც ავტომანქანებით გაზიდვა 10კმ მანძილზე ნაყარში | ტ | 4.5 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 4.50 | 20.25 | 20.25 |
| 8 | ნიაღვარმიმღები არხის ძირის ქვეშ ქვიშის საფენის მოწყობა 10სმ კვეთი-0.5*0.3 | კუბ.მ | 0.4 | 11.00 | 4.40 | 3.00 | 1.20 | 4.50 | 1.80 | 7.40 |
| 9 | არხის ძირის მოწყობა მონოლითური ბეტონით მ-300 0.8*0.1*5 | კუბ.მ | 0.4 | 130.00 | 52.00 | 25.00 | 10.00 | 4.50 | 1.80 | 63.80 |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10 | არხის კედლების მოწყობა მონოლითური კედლებით სისქით-15სმ. მ-300 0.3*0.15*5*2 | კუბ.მ | 0.45 | 130.00 | 58.50 | 25.00 | 11.25 | 4.50 | 2.03 | 71.78 |
| 11 | ახალი ნიაღვარმიმღები თუჯის ცხაურის მონტაჟი (600X600X5) | კომპ | 8 | 195.00 | 1560.00 | 15.00 | 120.00 | 0.00 | 0.00 | 1680.00 |
| | **სათვალთვალო ჭები** | | | | | | | | | |
| 1 | სათვალთვალო ჭების ამოწევა და მოყვანა საპროექტო ნიშნულზე | ც | 2.00 | 0.00 | 0.00 | 21.40 | 42.80 | 0.00 | 0.00 | 42.80 |
| 2 | ბეტონი მ-300 | $მ^3$ | 0.16 | 130.00 | 20.80 | 0.00 | 0.00 | 4.50 | 0.72 | 21.52 |
| | ჯამი | | | | | | | | | 181246.79 |
| | ზედნადები ხარჯები | 5% | | | | | | | | 9062.34 |
| | ჯამი | | | | | | | | | 190309.13 |
| | გეგმიური დაგროვება | 4,7% | | | | | | | | 8944.53 |
| | ჯამი | | | | | | | | | 199253.66 |
| | გაუთვალისწინებელი ხარჯები (3%) | 3% | | | | | | | | 5977.61 |
| | ჯამი | | | | | | | | | 205231.27 |
| | დღგ 18% | 18% | | | | | | | | 36941.63 |
| | ჯამი | | | | | | | | | 242172.89 |

შ.პ.ს."გი-ან2011"-ის

დირექტორი: გ.კოპალეიშვილი

საქართველო, შპს ,,გი-ან-2011" • GEORGIA, LTD ,,GI-AN-2011" • 412676322

ქ.ქუთაისში „საფიჩხიას" ადმინისტრაციული ერთეულის დემეტრე თავდადებულის ქუჩაზე ღვარსადენის მოწესრიგებისა და ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები

ხარჯთაღრიცხვა

| № | სამუშაოების დასახელება | განზ | რაოდ | მასალა | | ხელფასი | | მანქ-მექანიზმები | | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | ერთ. ფასი | ჯამი | ერთ. ფასი | ჯამი | ერთ. ფასი | ჯამი | |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 |
| | მოსამზადებელი სამუშაოები | | | | | | | | | |
| 1 | არსებული ბეტონის არხების დაშლა პნ.ჩაქუჩით ავტოთვითმცლელზე დატვირთვით | მ3 | 79 | 0.00 | 0.00 | 4.50 | 355.50 | 9.45 | 746.55 | 1102.05 |
| 2 | იგივეს დატვირთვა ავტომანქანაზე და გატანა ნაყარში 10 კმ მანძილზე | ტნ | 197.50 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 3.00 | 592.50 | 592.50 |
| 3 | სანიაღვრე არხებისა და ნიაღვარმიმღები ჭებისათვის მიწის მოჭრა მექანიზმით | მ3 | 294 | 0.00 | 0.00 | 0.15 | 44.10 | 0.85 | 249.90 | 294.00 |
| 4 | გრუნტის დამუშავება ხელით | მ3 | 70 | 0.00 | 0.00 | 5.00 | 350.00 | 0.00 | 0.00 | 350.00 |
| 5 | იგივეს დატვირთვა ავტომანქანაზე და გატანა ნაყარში 10 კმ მანძილზე | ტნ | 582.40 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 3.00 | 1747.20 | 1747.20 |
| 6 | მსხვილი ქვიშის ბალიშის მოწყობა მილების ქვეშ 10 სმ და ზემოდა 10 სმ | მ3 | 84.50 | 8.00 | 676.00 | 1.00 | 84.50 | 3.00 | 253.50 | 1014.00 |
| 7 | ქვიშა ხრეშოვანი ბალიშის მოწყობა სანიაღვრე ჭების ძირებისათვის 10 სმ | მ3 | 1.008 | 8.00 | 8.064 | 1.00 | 1.008 | 3.00 | 3.024 | 12.10 |
| 8 | სანიაღვრე რკინაბეტონის ჭის ძირების მოწყობა ბეტონი მ-200 | მ3 | 2.016 | 85.00 | 171.36 | 10.00 | 20.16 | 3.00 | 6.048 | 197.57 |
| 9 | სანიაღვრე ჭის რკინაბეტონის კედლების მოწყობა ბეტონი მ-200 | მ3 | 1.73 | 85.00 | 147.05 | 10.00 | 17.30 | 2.89 | 4.995 | 169.34 |
| 10 | სანიაღვრე გოფრირებული მილების მოწყობა დ=300 მმ | გრძ/მ | 700 | 6.00 | 4200.00 | 3.00 | 2100.00 | 0.50 | 350.00 | 6650.00 |
| 11 | თხრილის შევსება ბალასტით | მ3 | 147 | 3.47 | 510.09 | 1.00 | 147.00 | 3.00 | 441.00 | 1098.09 |
| 12 | ახალი ნიაღვარმიმღები ოთკუთხა ცხაურის მონტაჟი (600X600 5 კომპ | კომპ | 24 | 195.00 | 4680.00 | 16.00 | 384.00 | 0.50 | 12.00 | 5076.00 |
| | გზის სამოსი | | | | | | | | | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ფერდობებიდან ჩამონატანი თიხნარში არეული გატალახიანებული ქვა-ღორღის მოხსნისა და საგზაო სამოსის ვარცლის მოსაწყობად მე-3 კატეგორიის გრუნტის დამუშავება ბულდოზერით, დატვირთვა 0,25 მ3 ჩამჩის მოცულობით ექსკავატორით ავტოთვითმცლელებზე და გატანა ნაყარში | მ3 | 513.91 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 3.00 | 1541.7254 | 1541.73 |
| 2 | იქვე ხელით 5% (მიუდგომელ ადგილებში) | მ3 | 44.24 | 0.00 | 0.00 | 5.00 | 221.20 | 3.00 | 132.72 | 353.92 |
| 3 | პლანირება ავტოგრეიდერით | მ2 | 2919 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.15 | 437.85 | 437.85 |
| 4 | საფუძვლის მოწყობა ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით სისქით 20 სმ | მ3 | 583.8 | 5.00 | 2919.00 | 0.50 | 291.90 | 3.00 | 1751.40 | 4962.30 |
| 5 | საფუძვლის ზედა ფენის მოწყობა ფრაქციული ღორღით 0-40მმ სისქით 6 სმ | მ3 | 175.14 | 4.00 | 700.56 | 1.30 | 227.682 | 3.00 | 525.42 | 1453.66 |
| 6 | ბეტონის საფარის მოწყობა სავალ ნაწილზე 16 სმ არმირებით (დ-8 მმ), ტემპერატურული ნაკერების მოწყობით, ნაკერები შეივსება ბიტუმით | მ2 | 2919 | 27.50 | 80272.50 | 5.15 | 15032.85 | 3.00 | 8757.00 | 104062.35 |
| | გ) სათვალთვალო ჭები | | | | | | | | | |
| 1 | არსებული სათვალთვალო ჭის სახურავების ამოწევა (დაწევა) და მოყვანა საპროექტო ნიშნულზე | ც | 19 | 0.00 | 0.00 | 8.00 | 152.00 | 0.00 | 0.00 | 152.00 |
| 2 | ბეტონი მ-300 | მ3 | 2.85 | 130.00 | 370.50 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 370.50 |
| | ჯამი | | | | | | | | | **131637.16** |
| | ზედნადები ხარჯები | 5% | | | | | | | | **6581.86** |
| | ჯამი | | | | | | | | | **138219.01** |
| | გეგმიური დაგროვება | 4,7% | | | | | | | | **6496.29** |
| | ჯამი | | | | | | | | | **144715.31** |
| | გაუთვალისწინებელი ხარჯები | 3% | | | | | | | | **4341.46** |
| | ჯამი | | | | | | | | | **149056.77** |
| | დ.ღ.გ. | 18% | | | | | | | | **26830.22** |
| | სულ ჯამი | | | | | | | | | **175886.98** |

შ.პ.ს."გი-ან2011"-ის

დირექტორი: გ.კოპალეიშვილი

GEORGIA, LTD "GI-AN-2011" • საქართველო • 412676322

# ლოკალური ხარჯთაღრიცხვა №

## ქ. ქუთაისში წმინდა სამებას II შესახვევი--ბეტონის საფარი

| № | სამუშაოს ჩამონათვალი | განზ. ერთ. | რაოდ | მ ა ს ა ლ ა | | ხელფასი | | ტრანსპორტი | | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | ერთეულ ფასი | ჯამი | ერთეულ ფასი | ჯამი | ერთეულ ფასი | ჯამი | |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 |
| | **I სავალი ნაწილი (საგზაო სამოსი ტიპი I)** | | | | | | | | | |
| 1 | არსებული ტალახნარევი ხრეშოვანი მასის, დაზიანებული ა/ბეტონის საფარი, საფუძვლის მოხსნა ექსკავატორით $h_{საშ}$=45სმ დატვირთვით 95% | $მ^3$ | 592.1 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.50 | 296.05 | 296.05 |
| 2 | იგივე ხელით 5% | $მ^3$ | 31.2 | 0.00 | 0.00 | 5.00 | 156.00 | 0.00 | 0.00 | 156.00 |
| 3 | ნაშალის გატანა ა/თვითმცლელებით ნაყარში საშუაგოდ 5 კმ მანძილზე | ტ | 1153 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 1.00 | 1153.00 | 1153.00 |
| 4 | საფუძვლის მომზადება ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით სისქით $h_{საშ}$=20სმ | $მ^3$ | 277 | 3.47 | 961.19 | 1.00 | 277.00 | 2.35 | 650.95 | 1889.14 |
| 5 | საფუძვლის ზედა ფენის მოწყობა ფრაქციული ღორღით 0-40მმ სისქით 6სმ | $მ^2$ | 1385 | 1.52 | 2105.20 | 0.30 | 415.50 | 0.50 | 692.50 | 3213.20 |
| 6 | მონოლითური ბეტონის საფარის მოწყობა სისქით 16სმ არმირებით (დ-8 მმ), ტემპერატურული ნაკერების მოწყობით და ნაკერების შევსება ბიტუმით | $მ^2$ | 1385 | 0.00 | 0.00 | 5.15 | 7132.75 | 0.00 | 0.00 | 7132.75 |
| 7 | ბეტონი მ-300 | $მ^3$ | 226 | 120.00 | 27120.00 | 0.00 | 0.00 | 2.50 | 565.00 | 27685.00 |
| 8 | არმატურა დ-8 ა-III (უჯრა 20X20სმ) | ტ | 5.58 | 1440.00 | 8035.20 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 8035.20 |
| 9 | ბიტუმი ნავთობის | ტ | 0.28 | 1030.00 | 288.40 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 288.40 |
| | **II სათვალთვალო ჭები** | | | | | | | | | |
| 10 | სათვალთვალო ჭების სახურავების მოყვანა საპროექტო ნიშნულზე | ც | 6 | 0.00 | 0.00 | 8.00 | 48.00 | 0.00 | 0.00 | 48.00 |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11 | სანიაღვრე ჭების ახალი თუჯის ოთხკუთხა ცხაურიანი სახურავების მოწყობა და მოყვანა საპროექტო ნიშნულზე | ც | 2 | 195.00 | 390.00 | 16.00 | 32.00 | 2.50 | 5.00 | 427.00 |
| 12 | ბეტონი მ-300 | $მ^3$ | 0.8 | 130.00 | 104.00 | 0.00 | 0.00 | 2.50 | 2.00 | 106.00 |
| | ჯამი | ლარი | | | | | | | | 50429.74 |
| | ზედნადები ხარჯები | 5% | | | | | | | | 2521.49 |
| | ჯამი | | | | | | | | | 52951.23 |
| | გეგმიური დაგროვება | 4,7% | | | | | | | | 2488.71 |
| | ჯამი | | | | | | | | | 55439.93 |
| | გაუთვალისწინებელი ხარჯები (3%) | 3% | | | | | | | | 1663.20 |
| | ჯამი | | | | | | | | | 57103.13 |
| | დღგ (18%) | 18% | | | | | | | | 10278.56 |
| | ჯამი | | | | | | | | | 67381.70 |

შ.პ.ს."გი-ან2011"-ის
დირექტორი: გ.კოპალეიშვილი

GEORGIA. LTD. „GI-AN-2011" • 412676322 • საქართველო. შპს „გი-ან-2011"

## ქ.ქუთაისში „საფიჩხიას" ტერიტორიულ ორგანოს ახვლედიანის ქუჩაზე ასფალტობეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები

ხარჯთაღრიცხვა

| № | სამუშაოების დასახელება | განზ | რაოდ | მასალა | | ხელფასი | | მანქ-მექანიზმები | | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | ერთ. ფასი | ჯამი | ერთ. ფასი | ჯამი | ერთ. ფასი | ჯამი | |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 |
| | **თავი I მოსამზადებელი სამუშაოები** | | | | | | | | | |
| 1 | გრუნტის მოხსნა მექანიზმების გამოყენებით, დატვირთვა ავტოთვითმცლელზე და გატანა ნაყარში | მ3 | 65.55 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 3.00 | 196.65 | 196.65 |
| 2 | მექანიზმებით მიუწვდომელ ადგილებში გრუნტის მოხსნა ხელით, ნაყარში გადატანით | მ3 | 6.90 | 0.00 | 0.00 | 5.00 | 34.50 | 3.00 | 20.70 | 55.20 |
| | თავი I ჯამი | | | | | | | | | **251.85** |
| | **თავი II მიწის ვაკისი** | | | | | | | | | |
| 1 | ფერდობებიდან ჩამონატანი თიხნარში არეული გატალახიანებული ქვა-ღორღის მოხსნისა და საგზაო სამოსის ვარცლის მოსაწყობად მე-3 კატეგორიის გრუნტის დამუშავება ბულდოზერით, დატვირთვა 0,25 $м^3$ ჩამჩის მოცულობით ექსკავატორით ავტოთვითმცლელებზე და გატანა ნაყარში | მ3 | 29.757 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 3.00 | 89.27 | 89.27 |
| 2 | იქივე ხელით 5% (მიუდგომელ ადგილებში) | მ3 | 1.725 | 0.00 | 0.00 | 7.31 | 12.60975 | 3.00 | 5.18 | 17.78 |
| 3 | პლანირება ავტოგრეიდერით | მ2 | 690 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.15 | 103.50 | 103.50 |
| | თავი II ჯამი | | | | | | | | | **210.56** |
| | **თავი III საგზაო სამოსი** | | | | | | | | | |
| 1 | საფუძვლის მოწყობა ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით სისქით 10 სმ | მ3 | 69 | 5.00 | 345.00 | 0.30 | 20.70 | 3.00 | 207.00 | 572.70 |
| 2 | საფუძვლის ზედა ფენის მოწყობა ფრაქციული ღორღით 0-40 მმ სისქით 6 სმ | მ2 | 690 | 0.80 | 552.00 | 0.30 | 207.00 | 0.50 | 345.00 | 1104.00 |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | ბეტონის მარკით (მ-**327** **B-25**) საფარის მოწყობა სავალ ნაწილზე 16 სმ არმირებით (არმატურა **A-I** კლასი **Φ-8** მმ), ტემპერატურული ნაკერების მოწყობით, ნაკერები შეივსება ბიტუმით | მ2 | 690 | 23.00 | 15870.00 | 5.15 | 3553.50 | 0.50 | 345.00 | 19768.50 |
| | თავი III ჯამი | | | | | | | | | **21445.20** |
| | თავი IV სათვალთვალო ჭები | | | | | | | | | |
| 1 | სათვალთვალო ჭებისა და სათვალთვალო ცხაურების ამოწევა და მოყვანა საპროექტო ნიშნულზე | ც | 6 | 0.00 | 0.00 | 15.00 | 90.00 | 0.00 | 0.00 | 90.00 |
| 2 | ბეტონი მ-300 | მ3 | 0.9 | 130.00 | 117.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 117.00 |
| | თავი IV ჯამი | | | | | | | | | **207.00** |
| | I-IV თავების ჯამი | | | | | | | | | **22114.61** |
| | ზედნადები ხარჯები | **5%** | | | | | | | | **1105.73** |
| | ჯამი | | | | | | | | | **23220.34** |
| | გეგმიური დაგროვება | **4,7%** | | | | | | | | **1091.36** |
| | ჯამი | | | | | | | | | **24311.69** |
| | გაუთვალისწინებელი ხარჯები | **3%** | | | | | | | | **729.35** |
| | ჯამი | | | | | | | | | **25041.04** |
| | დ.ღ.გ. | **18%** | | | | | | | | **4507.39** |
| | სულ ჯამი | | | | | | | | | **29548.43** |

შპს"გი-ან 2011" დირექტორი                                   გ.კოპალეიშვილი

# გეგმა-გრაფიკი

| ობიექტის დასახელება | 1 კვირა | 2 კვირა | 3 კვირა | 4 კვირა | 5 კვირა | 6 კვირა | 7 კვირა | 8 კვირა | 9 კვირა | 10 კვირა | 11 კვირა | 12 კვირა | 13 კვირა | 14 კვირა | 2 დღე |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სოლომონ მეორეს ქუჩის მე4 შესახვევი | | | | | | | | | | | | | | | |
| წმინდა სამების მე-2 შესახვევი | | | | | | | | | | | | | | | |
| დ.თავდადებულის ქუჩა | | | | | | | | | | | | | | | |
| ე.ახვლედიანის ქუჩა | | | | | | | | | | | | | | | |

შპს "გი-ან 2011" დირექტორი

გ.კოპალეიშვილი

მანქანა-მექანიზმების ჩამონათვალ

დანართი №3

| № | მანქანა მექანიზმების დასახელება | რაოდენობა | მათ შორის | |
|---|---|---|---|---|
| | | | საკუთარი | იჯარით |
| 1 | ვიბრო ლარტყის სექცია | 1 | საკუთარი | |
| 2 | ვიბრო დაფა LF100 Honda | 1 | საკუთარი | |
| 3 | ელექტრო კომპრესორი | 1 | საკუთარი | |
| 4 | პრეფერატორი | 1 | საკუთარი | |
| 5 | ბეტონმრევი 1.5 კუბ. | 1 | საკუთარი | |
| 6 | ვიბრორეიკა BT 90 screed saction 1m | 1 | საკუთარი | |
| 7 | ვიბრორეიკა BT 90 screed saction 2m | 1 | საკუთარი | |
| 8 | ვიბრორეიკა BT 90 screed saction 3m | 1 | საკუთარი | |
| 9 | ვიბროლარტყა bv20g2.0m | 1 | საკუთარი | |
| 10 | ასფალტის ხერხი ორკა ჰონდა350/450 | 1 | საკუთარი | |
| 11 | ვიბროდაფა LF 100 honda | 1 | საკუთარი | |
| 12 | მოსაპრიალებელი 60სმ | 1 | საკუთარი | |
| 13 | მოსაპრიალებელი 90სმ | 1 | საკუთარი | |
| 14 | ავტომტვირთავი/პაგრუზჩიკი/ | 1 | საკუთარი | |
| 15 | ავტომანქანა ფორდ ტრანზიტი | 1 | საკუთარი | |
| 16 | ავტოგრეიდერი | 1 | | იჯარით |
| 17 | მოტოსატკეპნი | 1 | | იჯარით |
| 18 | ავტობეტონმზიდი | 3 | | იჯარით |
| 19 | თვითმცლელი ა/მანქანა (კამაზი მაზ,დაფ) | 3 | | იჯარით |
| | პომპა მერსედესი | 1 | | იჯარით |
| 20 | ინერტული მასალების ბუნკერი | 2 | საკუთარი | |
| 21 | ცემენტის სილოსი 16ტ | 1 | საკუთარი | |
| 22 | TML 220 ლაზერული მანძილმზომი | 1 | საკუთარი | |
| 23 | მანძილმზომი მ 40-1 | 1 | საკუთარი | |
| 24 | მოსაპირკეთებელი 60სმ | 1 | საკუთარი | |
| 25 | მოსაპირკეთებელი 90სმ | 1 | საკუთარი | |
| 26 | სექცია 1 მეტრიანი | 1 | საკუთარი | |
| 27 | სექცია 2 მეტრიანი | 1 | საკუთარი | |
| 28 | სექცია 3 მეტრიანი | 1 | საკუთარი | |
| 29 | ექსკავატორ- დამტვირთველი CASE 580 BACKHOE LOADER | 1 | საკუთარი | |
| 30 | POWER TROWEL LEVEL 100 HONDA 5.5 g*160 | 1 | საკუთარი | |

შპს "გი-ან 2011"-ის დირექტორი : გ.კოპალეიშვილი

ივერიის მომავალი — საქართველოს ბანკი
BANK OF GEORGIA

# ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია #PE35295-15

თბილისი 12 მარტი 2015 წელი

გარანტი: სს „საქართველოს ბანკი" (შემდგომში „გარანტი")
გარანტის საიდენტიფიკაციო კოდი: 204378869
გარანტის მისამართი: გაგარინის ქ. #29ა, თბილისი, 0160, საქართველო
პრინციპალი: შპს გი-ან 2011 (შემდგომში „პრინციპალი")
პრინციპალის საიდენტიფიკაციო კოდი: 412676322
პრინციპალის მისამართი: საქართველო, ქუთაისი, ლესელიძის,I ჩიხი N 15
ბენეფიციარი: სსიპ თვითმმართველი ქალაქი ქუთაისი (შემდგომში „ბენეფიციარი")
ბენეფიციარის საიდენტიფიკაციო კოდი: 212721170
საგარანტიო თანხა: 41,200 (ორმოცდაერთი ათას ორასი) ლარი
ტენდერის უნიკალური ნომერი: #SPA150003358

მხედველობაში ვიღებთ რა, რომ პრინციპალმა ქალაქ ქუთაისში სოლომონ მეორის ქუჩის მე-4 შესახვევის, ღ. თავდადებულის ქუჩის, წმინდა სამების ქუჩის მე-2 შესახვევის და ე. ახვლედიანის ქუჩის სანიაღვრე ქსელის და გზის ბეტონის საფარით მოწყობის სამუშაოების ჩატარების მიზნით წარდგენილი სატენდერო წინადადების შესაბამისად იკისრა ვალდებულება წარმოადგინოს საბანკო გარანტია მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების გარანტიის სახით ხელშეკრულებაში მითითებულ თანხაზე, ჩვენ, გარანტი, თანახმა ვართ გავცეთ პრინციპალის სახელზე აღნიშნული საბანკო გარანტია.

ამასთან დაკავშირებით, ვადასტურებთ, რომ ვართ გარანტები და პასუხისმგებლები თქვენს წინაშე პრინციპალის სახელით საერთო თანხაზე, არაუმეტეს ჯამში 41,200 (ორმოცდაერთი ათას ორასი) ლარი და ვკისრულობთ ზემოთ აღნიშნული თანხის გადახდას პრინციპალის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის საფუძველზე თქვენი პირველივე წერილობითი მოთხოვნისთანავე.

ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნა თანხის ანაზღაურებაზე წარმოდგენილ უნდა იქნეს ბენეფიციარის მხრიდან აღნიშნულ დოკუმენტზე უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი და ბეჭდით დადასტურებული ფორმით, სადაც მითითებულ იქნება მოთხოვნილი თანხა ციფრობრივად და სიტყვიერად, საბანკო რეკვიზიტები და განმარტებული უნდა იყოს კონკრეტულად პრინციპალსა და ბენეფიციარს შორის გაფორმებული ხელშეკრულების რა პირობები იქნა დარღვეული პრინციპალის მხრიდან. მოთხოვნას თან უნდა ერთვოდეს მოთხოვნაზე ხელმომწერი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი და საბანკო გარანტიის ასლი.

წინამდებარე გარანტია ძალაშია პრინციპალის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების საბოლოოდ დამთავრებამდე, მაგრამ არაუგვიანეს: 29 აგვისტო 2015 წელი, შესაბამისად წინამდებარე გარანტია მოქმედებს აღნიშნული თარიღის ჩათვლით.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საბანკო გარანტიაზე მოთხოვნა ან პრეტენზია წარმოდგენილ უნდა იქნეს საბანკო გარანტიის ვადის გასვლამდე მისამართზე: სს „საქართველოს ბანკი" (ს/კ: 204378869), სათაო ოფისი, გაგარინის ქ. #29ა, თბილისი 0160, საქართველო, თბილისის დროით (UTC/GMT +04:00 hours) 17:00 საათამდე, კანცელარიის სამსახურში, ვაჭრობის ფინანსირების დეპარტამენტის საყურადღებოდ.

საბანკო გარანტია ავტომატურად უქმდება ქვემოაღნიშნული გარემოებებიდან ერთ-ერთის დადგომისთანავე:

- საბანკო გარანტიის ვადის გასვლით.
- გარანტის მიერ ბენეფიციარისთვის იმ თანხის გადახდით, რომელზედაც გაიცა საბანკო გარანტია.
- ბენეფიციარის მიერ გარანტიიდან გამომდინარე თავის უფლებებზე წერილობით უარის თქმისა და საბანკო გარანტიის ორიგინალის გარანტისათვის დაბრუნებისას.

გარანტის მიმართ საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ბენეფიციარის კუთვნილი მოთხოვნის უფლების გადაცემა/დათმობა სხვა პირისათვის დაუშვებელია გარანტის წერილობითი თანხმობის გარეშე.

წინამდებარე საბანკო გარანტია რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

პატივისცემით,
ეთერ ჩხეიძე
გარანტიების სამსახურის უფროსი

204378869

თბილისი 0160, გაგარინის ქ. 29ª Gagarini Str., Tbilisi 0160, Georgia
Phone: (+995 32) 2 444 444 Fax: (+995 32) 2 444 174 Web: www.bog.ge